

ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციები, ნომადური სამყარო და კავკასიის კლდეკარები

ვალერიან ვაშაკიძე,
როლანდ თოფჩიშვილი
საქართველო

უძველესი აღმოსავლური ცივილიზაციებისა და ევრაზიის ნომადების მრავალათასწლოვან ურთიერთობათა ისტორიაში სრულიად განსაკუთრებულია დიდი კავკასიონის როლი. კასპიისა და შავ ზღვებს შორის 1.500 კილომეტრზე გადაჭიმული ეს მთაგრეხილი, იყო მძლავრი ბუნებრივი ზღუდე, რომელიც მისგან სამხრეთით მდებარე განვითარებულ ქვეყნებს მომთაბარეთა განუწყვეტელი თარეშისაგან იცავდა. კაცობრიობისათვის კავკასიონის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ გაიუს პლინიუს სეკუნდუსმა (23-79 წწ.) შეაფასა. „ბუნების ისტორიაში“ (VI, 30) ნათქვამია: „კავკასიის კარები... არის ბუნების უზარმაზარი ქმნილება, რომელიც მათა უეცარი გათიშვის შედეგად არის წარმოქმნილი და სადაც გასასვლელი ჩახერგილია შერკინული მორებით..., რომელიც აღმართულია ურიცხვი ტომებისათვის გზის გადასაღობად... ამ კარებით ქვეყანა ნაწილებად არის გაყოფილი“¹. მოყვანილი ამონარიდი ერთმნიშვნელოვნად მიაჩნებდა, რომ რომაელი ავტორისათვის ქვეყნის (სამყაროს) ორად გაყოფას მარტო გეოგრაფიული კი არა, კულტურულ-მენტალური საფუძველიც აქვს. იმავე თხზულებაში (VI, 40) პლინიუს უფროსი აღნიშნავს, რომ შეცდომით „კასპიის კარიბჭეს“ აიგივებენ „იბერიის კარიბჭესთან“, რომელსაც, როგორც ვთქვით, კავკასიის კარიბჭე ეწოდება“². ამდენად, სრულიად ცხადია, რომ პლინიუსისეული „კავკასიის კარი“ შეესაბამება „იბერიის კარს“, ანუ დღევანდელ დარიალს, რაც უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ ხსენებული დიდი სტრატეგიული დანიშნულების კლდეკარი უყოყმანოდ ქართლის, ანტიკური წყაროების იბერიის, სამეფოს შემადგენლობაში მოიაზრებოდა. კავკასიის მთავარ გადასასვლელს და ჩრდილოეთით მცხოვრებ ნომადებს ყურადღება სტრაბონმაც (ძვ. წ. I ს. – ახ. წ. I ს.) მიაქცია: „ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარეების მხრიდან არის დაახლოებით სამდღიანი ძნელი აღმართი, ხოლო ამის შემდეგ – საცალფეხო გზა მდინარე არაგოსის ვიწრო ხეობაში, რომლის გავლასაც ეულად მავალი დაახლოებით ოთხ დღეს ანდომებს. ამ გზის ბოლო ძნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული“³.

¹ გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი). ბუნების ისტორია. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 502.

² იქვე, გვ. 505.

³ სტრაბონი. გეოგრაფია. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 225.

საინტერესოა, რომ სახელწოდება „კასპიის კარი“ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა გადასასვლელს უკავშირდებოდა. ეს ტერმინი (და მასთან ერთად რკინის კარის ცნება) თავდაპირველად დასავლეთ ირანში, სიდარის ხეობაში (ფირუზ-კუხი) მდებარე უღელტეხილს აღნიშნავდა, სადაც ალექსანდრე დიდის ლაშქარმა გაიარა; ახალი ნელთალრიცხვის პირველ საუკუნეებში ის უკვე „კავკასიის კარს“ შეესაბამება, ხოლო გვიან ეს ტოპონიმი კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე არსებულ დარუზანდის კარს (დერბენდს) დაუმკვიდრდა¹.

„კავკასიის კარი“ ანუ „იბერიის კარი“ იგულისხმება მარკუს ანაეუს ლუკანუსის (39-65 წწ.) „კასპიის კლიტეებში“ („კასპიის ურდულებში“), რომელიც დამონშებულია მის თხზულებაში „ფარსალია“ ანუ „სამოქალაქო ომი“ (VIII, 218-224). აქ მოყვანილია პომპეუსის სიტყვები: „...როდესაც მივისწრაფვოდი კასპიის კლიტეებისაკენ“².

ანალოგიურ ვითარებას ვხვდებით კორნელიუს ტაციტუსთან (დაახლ. 55-116/120 წწ.). რომაელი ისტორიკოსი „ანალებში“ (VI, 33) აღნიშნავს, რომ „იბერებმა, ამ ადგილების მფლობელებმა, კასპიის გზით სწრაფად შეუშვეს არმენიელებისაკენ სარმატები“³. ის, რომ ტაციტუსის „კასპიის გზა“ იგივე „კავკასიის კარია“, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან იქვე ნათქვამია: სარმატებს ყველა გზა გადაუკეტეს გარდა ერთისა, რომელიც არის „ზღვასა და ალბანთა მთების კიდეს შორის მდებარე“⁴. ეს უკანასკნელი უდავოდ დერბენდს გულისხმობს. ასევე ყოყმანის საფუძველს არ ტოვებს საკითხი, თუ ვის ხელშია ზემოხსენებული „კასპიის გზა“. წყაროს ერთმნიშვნელოვანი განმარტებით, ამ ადგილებს იბერები ფლობენ.

მაინცდამაინც რატომ უწოდებდნენ კავკასიონის ცენტრში – თერგის ხეობაში არსებულ გადასასვლელს „კავკასიის კარს“//“იბერიის კარს“, „კასპიის კარს“? იმიტომ, რომ სამხრეთ კავკასიიდან მიმავალი სამხედრო შენაერთები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, მაგალითად, კასპიის ზღვის ირგვლივ მდებარე ხაზართა ქვეყანაში, შესვლას ამ გზით ამჯობინებდნენ. თუ რატომ? ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

კლავდიოს პტოლემეაიოსი (დაახლ. 90-168 წწ.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ (V, 8, 11) იბერიის საზღვარზე ახსენებს „სარმატიის კარიბ-

¹ გ. ქავთარაძე. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, თბ., 2006, გვ. 56.

² მარკუს ანაეუს ლუკანუსი. სამოქალაქო ომი. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 514.

³ კორნელიუს ტაციტუსი. ანალები. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 538. შდრ. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებით გამოსცა ალექსანდრე გამყრელიძემ, თბ., 1973, გვ. 55.

⁴ კორნელიუს ტაციტუსი. ანალები. გვ. 538.

ჭეს“, რომელშიც უთუოდ პლინიუსისეული „კავკასიის კარი“, მოიაზრება. აღნიშნულის საფუძველს იძლევა თხზულების ის მონაკვეთი (V, 8, 15), სადაც „სარმატიის კარიბჭის“ გვერდით მოხსენიებულია „ალბანიის კარიბჭე“. სრულიად ნათელია, რომ ავტორი ერთმანეთისაგან კარგად განასხვავებს ხსენებულ ზეკარებს და იმ დასკვნის საფუძველს გვაძლევს, რომ ისინი, შესაბამისად, დარიალისა და დერბენდის გადასასვლელებთან გავაიგივოთ.

მართალია, წყალგამყოფი ქედი ერთმანეთისაგან მიჯნავდა კულტურული თვალსაზრისით ორ სამყაროს და ერთი შეხედვით იგი გაუვალა იყო, მაგრამ უძველესი დროიდან ადამიანები როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად მაინც ახერხებდნენ მის გადალახვას. საცალფეხო გადასასვლელი კავკასიონზე არა ერთი და ორი არსებობდა, მაგრამ იყო ისეთი გადასასვლელები (თერგის ხეობაში, ალაგირის ხეობაში), რომლებიც ადამიანებს და მათ მიერ შექმნილ საზოგადოებებს გამაგრებული ჰქონდათ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი იყო თერგის ხეობაში არსებული გასასვლელი, რომლითაც საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიის არამარტო მთიან მხარეებში შეიძლებოდა შესვლა, არამედ დაბლობისა და სტეპების ზოლშიც, სადაც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა წარმომავლობის ეთნიკური ერთობები მომთაბარებოდნენ და რომელთა გადაადგილების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ლანდშაფტი აქ მოსულ ნომადებს ხშირად ნახევრად მომთაბარული ცხოვრებისაკენ უბიძგებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ახალი მიგრაციული ტალღები იკავებდნენ მათ ადგილს.

ევრაზიის სივრცეში მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ხალხების (გოთები, სარმატები, კვადები, ალანები, ჰუნები, ვანდალები, მარკომანები) აღმოსავლეთ ევროპაში ბარბაროსულ თარეშებზე და ქრისტიანული სინმინდეების დაქცევაზე თხრობისას ევსებიუს ჰიერონიმუსი (384-420 წწ.) იქვე მათ სამხრეთით შეჭრაზეც საუბრობს: „გასულ წელს კავკასოსის ყველაზე შორეული კლდეებიდან ჩვენზე მოქსეული – უკვე არა არაბული, არამედ ჩრდილოეთის მგლები, მცირე დროში უზარმაზარ პროვინციებს მოედვნენ. რამდენი მონასტერია აღებული? რამდენი წყალუხვი მდინარე შეცვლილა ადამიანის სისხლით შეღებილი? ალყაშია ანტიოქია და დანარჩენი ქალაქები“. „მეოტისის უკიდურესი საზღვრებიდან ყინულოვანი ტანისისა და მასაგეტების პირქუშ ტომებს შორის, სადაც ალექსანდრეს კლიტეები ველურ ტომებს კავკასოსის კლდეებით აკავებენ, გამოიჭრნენ ჰუნთა გუნდები, რომლებიც აქეთ-იქით სწრაფი ცხენებით დაქრიან, ყველაფერს ხოცვა-ჟლეტითა და შიშით ავსებენ“¹.

¹ ევსებიუს ჰიერონიმუსი. წერილები. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 589-590.

ამდენად, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის დღევანდელ დარიალს უწოდებდნენ „კასპიის კარიბჭეს“, „კასპიის კლიტებს“ (თუ „კასპიის ურდულებს“), „კასპიის გზას“, „სარმატიის კარიბჭეს“, „კავკასიის კარს“ ანუ „იბერიის კარს“. სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის დამაკავშირებელი ძირითადი ზეკარის სახელწოდებები ამით არ ამოიწურება. როგორც ითქვა, დღეს მას „დარიალი“ ჰქვია. ის მომდინარეობს სპარსული „დარი ალანისაგან“, რაც ალანთა კარს ნიშნავს, ანუ ალანთა ქვეყანაში გასასვლელს. სხვათა შორის, პლინიუს უფროსი თერგის ხეობაში ნომადების შესაკავებლად აგებულ ციხე-სიმაგრეს კუმანიის სახელწოდებითაც მოიხსენიებს. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ დარიალის ციხე და კუმანია ერთი და იგივე უნდა იყოს. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ეპოქაში კავკასიის კარის/იბერიის კარის (გასასვლელის) სხვადასხვა სახელწოდებანი იმაზე მიუთითებს, რომ ამ სახელწოდებებს განსაზღვრავდა პოლიტიკური კონიუნქტურა, ცივილიზებული სამყაროს დამოკიდებულება; სახელწოდების ცვლა იმასაც ადასტურებს, რომ გასასვლელი კარის ჩრდილოეთით ნომადური სამყარო არცთუ იშვიათად იცვლებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ სახელწოდებანი „სარმატიის კარიბჭე“, „დარიალი“, „კუმანია“ სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სარმატები, ალანები, კუმანები უშუალოდ გასასვლელ კართან ცხოვრობდნენ. უბრალოდ, როგორც ანტიკური ავტორებისათვის, ისე სპარსელებისათვის და არაბებისათვის აქედან იყო სარმატების და ალანების განსახლების არეალში გასასვლელი. სამწუხაროდ, ძველმა უცხოელმა ავტორებმა ნაკლებად იცოდნენ რომელი ეთნიკური ერთობები ცხოვრობდნენ კავკასიის მთებში, კონკრეტულ შემთხვევაში კი „კავკასიის კარის“ გასასვლელის მიდამოებში. მათ წარმოდგენა ჰქონდათ მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებსა და დაბლობ ნაწილში მცხოვრებ სალხებზე – სარმატებზე, ალანებზე, კუმანებზე და სხვებზე. ხშირ შემთხვევაში კი ამ ეთნონიმების ქვეშ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები იგულისხმებოდნენ, რომლებსაც ერთი სახელწოდების ქვეშ აერთიანებდნენ მსგავსი სამეურნეო საქმიანობისა და ცხოვრების წესის გამო. უწოდეს რა სპარსელებმა ჩვენთვის საინტერესო გასასვლელ კარს ალანთა კარი, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ იქვე ან სიახლოვეს ალანები ცხოვრობდნენ. უბრალოდ აქედან გასასვლელი იყო მათთვის ცნობილ ალანთა ქვეყანაში, რომელიც საკმაოდ მოშორებით, ჩრდილოეთით მდებარეობდა. ა. ალემანიც შენიშნავს, რომ ალანთა X საუკუნის ავტორის მოწმობით, კავკასიის მთების იქითაა¹. არაბი იბნ-რუსტა, რომლის თხზულება 903-913 წლებს შორისაა შექმნილი, შემდეგს წერს: „დაღესტნელი ავარების სამეფოს მარცხენა მხარეზე (დასავლეთით) სამი დღის

¹ რ. თოფჩიშვილი. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი. თბ., 2008, გვ. 40.

მოგზაურობისას ხეტიალის შემდეგ მთებსა და მდელოებს შორის მიაღწევ ალანების სამეფოს. ალანების... ათი დღის სავალის შემდეგ, გზით, რომელიც მდინარეებსა და ტყეებზე გადის, მიაღწევ ციხე-სიმაგრეს, რომელსაც „ალანთა კარი“ ეწოდება. ის დგას მთის მწვერვალზე, რომლის ქვეშ გადის გზა; სიმაგრე შემოსაზღვრულია მთებით. აქ მკვიდრი ათასი ადამიანი დღე და ღამე იცავს მის კედლებს“. X საუკუნის ამ არაბულენოვან ავტორს უმნიშვნელოვანესი ცნობა აქვს დაცული: ალანთა ქვეყნიდან დარიალამდე ათი დღის სავალია, ე. ი. ალან-ოსთა განსახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთისა და მთისწინეთიდან საკმაოდ შორს, ამ რეგიონის დაბლობში, სტეპებში არსებობდა. უფრო საინტერესო ცნობა აქვს დაცული სხვა არაბ ალ-მასუდის (გარდაიცვალა 956 წელს): „ალანების სამეფოსა და კავკასუს შორის (დარიალის ხეობაში) არის ეგრეთ წოდებული ალანიის კარის ციხე და ხიდი დიდ მდინარეზე (თერგზე). ეს ციხე ააშენა სპარსეთის მეფემ ისბანდარ ბიშტადსმა, რომელმაც აქ დატოვა გარნიზონი, რათა ხელი შეეშალა ალანებისათვის მოსულიყვნენ კავკასიამდე“¹. იგივე არაბი ავტორის მიხედვით, ალანები კავკასიონის მისადგომებთან არა ვაინახების, არამედ ჩერქეზების მეზობლები იყვნენ. აქ ვაინახები შემთხვევით არ გვიხსენებია, რადგან „კავკასიის კარის“ გასასვლელის ჩრდილოეთით ინგუშებისა და ჩაჩნების წინაპრების – ძურძუკების – განსახლების არეალი იყო და აქ ოსების დასახლება მხოლოდ გვიან მოხდა.

ალანებთან დაკავშირებით ევრაზიის სტეპების ეთნოსების შესანიშნავი მცოდნე ლ. გუმილიოვის უტყუარ წყაროებზე დაყრდნობილი დასკვნაც უნდა შემოგთავაზოთ, როდესაც ის საუბრობს ხაზარების მეზობლების შესახებ VII-VIII საუკუნეებში: „Гузы на востоке, мадыры на севере, аланы и булгари (черные) на западе не всегда были друзьями хазар“. „Но эти степи были не нужны уграм... и аланам, обитавшим в роскошных злаковых степях между Кубанью и Доном“².

ოსთა წინაპრებად მიჩნეულ ალანებს XVIII საუკუნემდე რომ საერთოდ არ უცხოვრიათ კავკასიონის მთავარი გასასვლელის მიდამოებში (თერგის ხეობაში), ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საქართველოში მათი მიგრაცია განხორციელდა არა ამ გზით, არამედ კასრის-კარით (იგივე „გზად დვალეთისად“), რომლითაც საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე – დვალეთი – ალაგირის ხეობასთან იყო დაკავშირებული. სხვათა შორის კასრის-კარი მხოლოდ სამი-ოთხი თვის განმავლობაში ფუნქციონირებდა; სხვა დროს შეუძლებელი იყო მისი გავლა.

ამრიგად, ახლო აღმოსავლეთის ცივილიზებულმა სამყარომ იცოდა არა თერგის ხეობაში კავკასიის კარების ჩრდილოეთით მთებში მცხოვრები

¹ Алемань А. Аланы в древних и средневековых письменных источниках. М., გვ. 347.

² Гумилев Л. Н. Этносфера людей и история природы. СПб.-М., გვ. 388

ხალხების, არამედ ჯერ ირანულენოვანი და შემდეგ თურქულენოვანი ეთნიკური ჯგუფების შესახებ, რომლებიც ნომადები ან ნახევრად ნომადები იყვნენ (ესენი კი უშუალოდ სტეპებში ცხოვრობდნენ) და განადგურებით ემუქებოდნენ სამხრეთით არსებულ ცივილიზებულ სამყაროს. როდესაც ირანელებმა საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელ კარს დარიალი უწოდეს, მათთვის საშიშროების შემქმნელი სწორედ ალანები იყვნენ. დავსძენთ, რომ ანტიკური ავტორებისათვის სახელწოდება „დარიალი“ საერთოდ უცნობი იყო, რადგან იმ პერიოდში ალანები კავკასიის მიმდებარე ვერაზიის სამომთაბარეო არეალში ჯერ საერთოდ არ იყვნენ გამოჩენილი.

ქართული საისტორიო ტრადიციით, დიდი კავკასიონის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გადასასვლელს „არაგვის კარი“ ჰქვია, რადგან ქართული წყაროები მდინარე თერგს ხშირად არაგვსაც უწოდებდნენ. ლეონტი მროველის თქმით, „და ისწავეს ხაზართა ორნივე ეს გზანი, რომელ არს ზღვსკარი დარუბანდი და არაგვსკარი, რომელ არს დარიალა“¹. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ხაზარების წინაპრები მართალია თვდაპირველად ნომადები იყვნენ (ცნობილია, რომ ისინი არიან ჰუნი მეომრებისა და სარმატი ქალების შთამომავლები²), მაგრამ შემდეგ ბინადარ ცხოვრებაზე გადასულებმა ხაზართა კალანატის სახელწოდებით ცნობილი სახელმწიფო შექმნეს, რომელშიც ქრისტიანებთან ერთად იუდეველებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით მოსახლეობდნენ. ასე რომ, ქართველი მემატიანე, მკაფიოდ განარჩევს დერბენდისა (დარუბანდის) და დარიალის ზეკარებს და ამ უკანასკნელს „არაგვის-კარის“ სახელით მოიხსენიებს, რაც სრულიად ბუნებრივია. იგივე ავტორი ხაზგასმით წარმოაჩენს ქართლის (იბერიის) პირველ მეფეთა მიერ სახელმწიფოს ჩრდილოეთი საზღვრის განმტკიცებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს. სამეფო დინასტიის ფუძემდებელ ფარნავაზს დურძუკი ცოლი ჰყავდა და ამ დინასტიური ქორწინებით კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა კავკასიონის გადაღმა მცხოვრებ ნახურეთნიკურ ჯგუფებთან. რაც შეეხება დარიალის გასასვლელის საგანგებო გამაგრებას, ლეონტი მროველის მიხედვით, ეს ფარნავაზ I-ის შვილიშვილს, მეფე მირვანს მიეწერება. წყაროს ცნობით, „და შევიდა მირვან დურძუკეთს, და მოაოჯრა დურძუკეთი და ჭართალი. და შეაბნა კარნი ქვიტკირითა, და უწოდა სახელად დარუბალ“³.

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ნომადები რომ მუდმივ საშიშროებას უქმნიდნენ ქართულ სახელმწიფოებრიობას და მახლობელი აღმო-

¹ ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 12.

² Гумилев Л. Открытие Хазарии. М., 2003, გვ. 155-166.

³ ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. გვ. 28.

საველეთის ცივილიზებულ სამყაროს, ეს ქართული წყაროებითაც კარგად ჩანს. V საუკუნეში ვერ გადმოლახეს რა კავკასიის კარი (ის მტკიცედ იყო ჩაკეტილი), ოსები დარუბანდის გზით შემოიჭრნენ ქართლში. მათ ურიცხვი ტყვე წაიყვანეს, მათ შორის, მცირეწლოვანი ვახტანგის და ისევ დარუბანდის გზით დაბრუნდნენ უკან. რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე სრულწლოვანი მეფე ვახტანგ გორგასალი დარიალის გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა და მდინარე თერგზე შეებრძოლა ოსთა ლაშქარს: „მაშინ იძლივნეს ოვსნი და ივლტოდა ბანაკი მათი“. უკან მობრუნებულმა მეფემ მტკიცედ ჩაკეტა ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალი დარიალი, „ალაშენა გოდოლნი მალალნი, და დაადგინა მცველად მახლობელნი იგინი მთიულნი. არა ხელენიფების გამოვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაღთა თვნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“¹.

ისტორიის სიღრმეში თუ უფრო დავიხვევთ, შეიძლება ისევ ქართული წყაროს ცნობა გავიხსენოთ, რომელიც, წინასწარ თუ ვიტყვიტ ორი ცივილიზებული სამყაროს – ანტიკურისა და სპარსულის – ინტერესსა და ბრძოლას გამოხატავს საქართველოში სახელმწიფოებრიობის არსებობისა და მათი ინტერესების გამტარებელი ხელისუფლის შესახებ. ესაა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში „არიან-ქართლიდან“ (ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან) აზოს მოყვანისა და აქ მისი მმართველად დასმა: „დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი... დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ და მის თანა სპანი იგი, მპყრობლად ქართლისა“². ამ ფაქტს უფრო ვრცლად გადმოგვცემს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“³: „თანაჰყვანდა ალექსანდრეს მეფეს აზოჲ, ძე არიან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთად საჯდომად... და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა, აზოჲ არიან ქართველთა მეფისაჲ“³. იქამდე კი ქართლი, ძვ. წ. V საუკუნიდან აქემენიანთა სპარსეთის გავლენის ქვეშ იყო. რა ინტერესი ჰქონდა სამხრეთ კავკასიის, კერძოდ კი ისტორიული საქართველოს მიმართ ორ ცივილიზებულ სამყაროს – ძველ საბერძნეთსა და სპარსეთს? გეოგრაფიული ფაქტორის გამო, ქართლიდან „კავკასიის კარით“ გასასვლელი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში, აქედან კი ევრაზიის ნომადურ სივრცეში. ნომადები კი ამ კარის გამოვლის შემდეგ დიდ პრობლემებს უქმნიდნენ როგორც ერთს, ისე მეორეს. ეს კარები კი მტკიცედ ჩაკეტილი იქნებოდა ქართლში სახელმწიფოებრივი ორ-

¹ ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 156.

² ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. გვ. 28.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I (V-X სს.), დასაბუთებად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 81-82.

განიზაციის არსებობის პირობებში და, ბუნებრივია, როგორც ერთი მხარე, ისე მეორე ცდილობდა ქართლში გავლენის მოპოვებას და მისი მომხრე ხელისუფლის დასმას. მოგვიანებით პონტოს სამეფოს დაქვემდებარებაში მყოფი აზოს ადგილი სელევკიდური პოლიტიკური ორიენტაციის ფარნავაზმა დაიკავა.

საისტორიო წყაროები პირდაპირ მითითებას შეიცავენ იმის შესახებ, რომ სპარსეთისა და ბიზანტიისათვის ქართლთან სტაბილურ პოლიტიკურ ურთიერთობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობით, 562 წელს აღნიშნულ ორ ქვეყანას შორის დადებული ზავით, „პირველ დებულებად დაწერილი იყო, რომ სპარსელები (რომელთაც ამ დროს ეპყრათ ივერია და ალბანეთი), ნებას არ აძლევდნენ არც ჰუნებს, არც ალანებს, არც სხვა ბარბაროსებს ეგრეთ წოდებული ჩორისა (დარუბანდისა) და კასპიის (დარიალანის) კარების შესავალი ვიწროებით გადავიდოდნენ რომაელთა სამფლობელოს წინააღმდეგ“¹. რომაულ-ბიზანტიური და მახლობელი აღმოსავლეთის მიმართ დაკისრებული ეს მისია (გადმოსასვლელი კარებების ჩაკეტვა) კარგად ჰქონდათ გააზრებული იმდროინდელი ქართული პოლიტიკური ერთეულების მესვეურებს. VI საუკუნის ეგრისის დიპლომატები სპარსეთის შაჰს სთავაზობდნენ რა ალიანსს ბიზანტიის წინააღმდეგ, აღუთქვამდნენ, რომ მათზე „იქნებოდა დამოკიდებული, მოსაზღვრე (ჩრდილოელმა) ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. თქვენ ალბათ იცით, ეუბნებოდნენ ელჩები შაჰს, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების საფარს წარმოადგენდა“. ბიზანტიელი ისტორიკოსი იმასაც წერს, რომ „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსებისათვის ლაზიკე არის მხოლოდ სანინააღმდეგო ტიხარი“ და რომ სპარსეთ-ეგრისის კეთილგანწყობილი სტაბილური ვითარების შემთხვევაში, „ლაზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნებისაგან სპასელთა სახელმწიფო სამუდამოდ დაურბეველი იქნებოდა“². სრულიად სამართლიანად შენიშნავს დ. მუსხელიშვილი, რომ „რომის მეგობრის“ სტატუსის მიღება, პირველ რიგში, იმით იყო გაპირობებული, რომ ივერია დარიალის გასასვლელს ფლობდა, ხოლო რომს კი ძალა არ შესწევდა მისი ინკორპორაციისათვის“³.

¹ მენანდრე პროტიქტორი. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1936, გვ. 216-217.

² პროკოპი კესარიელი. De Bello Persico. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 81, 94.

³ დ. მუსხელიშვილი. კავკასიური პოლიტიკა შუა საუკუნეების საქართველოში (XIII საუკუნემდე). დავით მუსხელიშვილი. სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიკაციები, თბ., 2014, გვ. 106.

ერთიანი ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების დღიდან მოკიდებული, ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, დიდი კავკასიონის კლდეკარების პყრობა და გაკონტროლება ქართველ მეფეთა ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. ცხადია, ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა „კავკასიონის კარს“, რომელიც კავკასიონის ზეკარებს შორის თავისი სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეული იყო. ეს იყო ქვეყნისათვის სასიცოცხლო გამონვევა, რომლის წარმატებით გამკლავება ქართულ სახელმწიფოს რეგიონულ მნიშვნელობას სძენდა. ვფიქრობთ მართებულია მოსაზრება, რომ დიდი კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთით არსებული სახელმწიფოების – ქართლის/იბერიის, კოლხიდა/ეგრისის და ალბანეთის – გეოგრაფიული მდებარეობა და ამით გამონვეული მათი როლი, გაეკონტროლებინათ ზეკარები, იყო ამ პოლიტიკურ ერთეულთა „არსებობის არსი“: დაეცვა ოიკუმენე, ანუ საერთო ინტერესების მქონე ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის ცივილიზებული სამყარო ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებისაგან. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს რთული მისია ყველაზე წარმატებულად ჯერ ქართლის სამეფომ, მოგვიანებით კი ერთიანმა საქართველოს სახელმწიფომ იკისრა.

კავკასიის/იბერიის კარს ჰქონდა არამხოლოდ სამხედრო დანიშნულება, არამედ ის სავაჭრო მიზნებსაც ემსახურებოდა. საქართველოსთვის მისი გაკონტროლება პირველხარისხოვანი ამოცანა იყო. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა მას საქართველოს მეზობელი ქვეყნებისა თუ ცალკეული ეთნოსებისათვის. უფრო მეტი, თავის დროზე, მის დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ანტიკური სამყარო, სპარსეთი, ბიზანტიის იმპერია, არაბთა სახალიფო. სამართლიანადაა შენიშნული, რომ „ქართლსა და ეგრისში არაბებს უმთავარესად თბილისისა და დარიალის კონტროლი აინტერესებდათ“, აგრეთვე – „არაბი მხედართმთავრები აქტიურად იყენებდნენ დარიალს ხაზართა წინააღმდეგ ომებისას“. ამიტომაც იყო, რომ საქართველოსთან ერთად, ხშირად კონტროლს ისინიც ახორციელებდნენ. ზემოთ ვახსენეთ რა ამ კარის სამხედრო და სავაჭრო მნიშვნელობა, უპირატესი მაინც პირველი მათგანი იყო. სახელმწიფოს ძლიერების ხანაში ქართველი ხელისუფლები დარიალის კარს იმ შემთხვევაში ხსნიდნენ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიიდან თავიანთი მომხრე ძალები გადმოჰყავდათ. მაგალითად, დავით აღმაშენებელმა ამ მიზნით სწორედ აქედან შემოიყვანა ყივჩაღები. მეფე რუსუდანმა (1223-1245 წწ.), როდესაც ჯალალედინის (ხვარაზმშაჰი 1220-1231 წწ.) ადარბადაგანიდან ისევ თბილისისაკენ წამოსვლა შეიტყო (1227-1228 წწ.), შეყარა სრულიად საქართველოს ლაშქარი, გააღო დარიალანი; გადმოიყვანა ოსები, დურძუკები, სხვა მთიელი მეომრები და ნაჭარმაგევს შეკრიბა ხვარაზმელთა წინააღმდეგ.

ორი სამყაროს გამმიჯვნიელი კარის/გასასვლელის არსებობა, რა თქმა უნდა, ცივილიზებული სამყაროს ინტერესებს ემსახურებოდა; ჩრდილოეთით მდებარე ნომადურ სამყაროს ინტერესებში ის საერთოდ არ შედიოდა; მათ რაც შეიძლება უფრო მეტი ტერიტორიის ძარცვა-გლეჯისა და ადამიანთა ტყვედ წაყვანის სურვილი ჰქონდათ. ამდენად გასასვლელში ციხე მხოლოდ და მხოლოდ სამხრეთის ბინადართა მიერ იყო აგებული. როგორც ზემოთ ითქვა, ქართული საისტორიო ტრადიციით თერგის ვიწრო გასასვლელში პირველი სიმაგრე ძვ. წ. II საუკუნის I ნახევარში აუშენებია ქართლის (იბერიის) მეფე მირვანს; რომაელების პირველი ლაშქრობის დროს (ძვ. წ. I ს.) დარიალის ხეობას აკონტროლებდა იბერიის სამეფო; V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა აღადგინა ძველი სიმაგრე. სამხრეთ კავკასიაში არაბთა ბატონობის ხანაში (VII-X სს.) თერგის ხეობა და დარიალის ციხე მათ ხელში იყო. ციხის განახლება მოახდინა დავით აღმაშენებელმა¹.

არქეოლოგიური კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის დამაკავშირებელი გზა, რომელიც დარიალის ხეობაში გადის უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში ჩამოყალიბდა². მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო უკეთ ჩანს იმ ფონზე, რომ კავკასიონის მეორე დიდი გადმოსასვლელი, დარუბანდი (დერბენდი), სავარაუდოდ, ძვ. წ. I ს-მდე მაინც, კასპიის ზღვის შედარებით მაღალი დონის გამო, ინტენსიური მიმოსვლათვის მთლად ხელსაყრელი არ იყო. გამოთქმულია კარგად არგუმენტირებული მოსაზრება, რომ აღნიშნულ დრომდე კასპიის დაბლობი, დერბენდის ჩრდილოეთიდან დაახლოებით თანამედროვე რეშტამდე და ქვეყნის შიგნით ევლახამდე დღევანდელ აზერბაიჯანში, ჯერ კიდევ წყლით იყო დაფარული³. ამას მხარს უჭერს ტაციტუსის „ანალების“ (VI, 33) ცნობა, რომ გზა „ზღვასა და ალბანთა მთების კიდეს შორის მდებარე, ზაფხულობით მიუვალი იყო იმის გამო, რომ მშრალი (ხორშაკი) ქარების შედეგად ფონი წყლით იფარება, ზამთრობით კი ავსტერის ქარი ტალღებს უკან მიერეკება და, როცა ზღვა უკან იხევს, სანაპირო მეჩჩეები შიშვლდება“⁴. ზემოთ კითხვა დავსვით: ძველი გეოგრაფები რატომ უწოდებდნენ დარიალის ხეობას „კასპიის კარს“. ამ საკითხზე პასუხი აქვს გაცემული ლ. გუმილიოვს. გარდა ზემოთ აღნიშნული მიზეზისა (კასპიის ზღვის დონის ცვლა სხვადასხვა ეპოქებში. მაგ., საყურადღებოა, რომ VI და XIII საუკუნეების მონაკვეთ-

¹ ჯ. გვასალია. არაგვის კარი (დარიალანი). ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

² დ. მინდორაშვილი. არქეოლოგიური გათხრები ხევში (ყაზბეგის რაიონი). თბ., 2005, გვ.163.

³ Муравьев С. Н. Птолемеева карта кавказской Албании и уровень Каспия. ВДИ, 1983, №1, გვ. 117-147; იხ. აგრეთვე: Филипов Н. М. Об изменении уровня Каспийского моря. СПб., 1890.

⁴ კორნელიუს ტაციტუსი. ანალები. გვ. 538.

ში კასპიის ზღვის დონემ ორჯერ აინია: 3 მეტრით და 10 მეტრით)¹, სხვა მიზეზებიც არსებობდა, რომ მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზებულ სამყაროს საქართველოს მთებში გამავალი გასასვლელით ესარგებლა. ეს იყო სტეპებში ხაზარეთსა და დარუბანდს შორის მდინარეების თერგისა და სულაკის დელტის დაბლობში არსებული ხშირი წყალდიდობები. წყლითა და ჭაობებით დაფარული დიდი სივრცე ცხენოსან ჯარს სერიოზულ ბარიერს უქმნიდა. შეუძლებელი იყო მდინარის ფონის გადალახვა, წელამდე მომდგარ წყალში მოძრაობა, ათეული კილომეტრის გავლა. ხაზარებს კი დარუბანდის მიმართულებით თარეშისათვის შეეძლოთ შეერჩიათ ისეთი დრო და ის გზები, როდესაც წყალი არ იყო საშიში და რომელთა შესახებ მხოლოდ ადგილობრივებმა იცოდნენ. უცხონი კი ჩრდილოეთ კავკასიაში შეჭრისა და ხაზართა დედაქალაქ სემენდერამდე მისვლისათვის მთიან გზას – დარიალს – არჩევდნენ. მათთვის კიდევ ერთი ფაქტორი იყო ხელშემშლელი – თერგის მარჯვენა მხარეზე მშრალ სტეპებში არსებული ქვიშის დიუნები („ბურუნები“). ახალი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში, მაღალი ტენიანობის გამო, თერგი კალაპოტიდან არამხოლოდ მარჯვენა ნაპირზე, არამედ მარცხენა ნაპირზეც გადადიოდა, სადაც ახლა კაზაკთა სტანიცები და ხუტორებია². ასე რომ, ჩრდილოეთ კავკასიის კასპიის ზღვის მხარეზე მიმსვლელი დარიალს აღნიშნულის გამო უწოდებდა „კასპიის კარს“.

ანტიკურ ავტორთა (სტრაბონი, პლინიუს უფროსი და სხვ.) თხზულებებში დაცულ მასალას თუ გავითვალისწინებთ, რომლის თანახმადაც სამხრეთ კავკასიაში არსებული გზები ევრაზიის დიდი საქარავნო-სავაჭრო მაგისტრალის მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენდა, რთული არ იქნება დავასკვნათ, რომ ზესახელმწიფოთა დაინტერესება, გაეკონტროლებინათ დიდი კავკასიონის კლდეკარები და მათ შორის ერთ-ერთი უმთვარესი – „კავკასიის კარი“, სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მიზნებით იყო განპირობებული. ამიტომაც, უძველესი დროიდან მოყოლებული, იმპერიები გამუდმებით ცდილობდნენ სამხრეთ კავკასიაში ფეხის მოკიდებას (აქ არსებული პოლიტიკური ერთეულების ან დაპყრობას, ან ერთგულ მოკავშირეებად ქცევას) და ამ გზით დიდი კავკასიონის ზეკარებზე კონტროლის დამყარებას. ამით მათ სურდათ არამარტო თავი დაეცვათ ევრაზიელი ნომადებისაგან, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, ეს მრისხანე სამხედრო ძალა საკუთარი ინტერესებისამებრ ემართათ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „კავკასიის კარის“ მფლობელი ქართული სახელმწიფო პერმანენტულად ურთულესი გამოწვევების წინაშე იდგა. მის წარმატებას თუ მარცხს მნიშვნელოვნად განაპირობებდა ქვეყნის მეს-

¹ Гумилев Л. Открытие Хазарии. გვ. 111.

² იქვე, გვ. 88, 165-166; Гумилев Л. Тысячелетие вокруг Каспия. М., 2003, გვ. 158.

ვეურთა მიერ დროის კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთში გაკეთებული არჩევანი: ა) ესარგებლათ საკუთარი უპირატესობით და აღმატებული ძალის მქონე მონინააღმდეგესთან დაპირისპირებაში მომთაბარეები გამოეყენებინათ; ბ) თავად ყოფილიყვნენ რომელიმე ზესახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების მხარდამჭერნი და ამ გზით უზრუნველევით ქვეყნის მშვიდობა და განვითარება. ბუნებრივია, საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში იყო პერიოდები, როცა არჩევანის საშუალება უბრალოდ არ არსებობდა.

MIDDLE EASTERN CIVILIZATIONS, THE NOMADIC WORLD, AND THE GATES OF THE CAUCASUS

**Valerian Vashakidze,
Roland Topchishvili**

Georgia

The role of the Greater Caucasus is quite special in the history of the millennial relations between the ancient Eastern civilizations and the Nomads of Eurasia. This mountain range, stretching for 1,500 km between the Caspian Sea and the Black Sea, was a powerful natural threshold that protected the developed countries to the south from the constant ravage of nomads. The paramount importance of the Caucasus for mankind was estimated by Gaius Pliny Secundus (23-79) as far back as two thousand years ago. The „Natural History“ (VI, 30) says: „The Gates of the Caucasus... represent a huge natural creation, which is formed as a result of a sudden disconnection of the mountains and where the exit is blocked by iron-plated logs... Which is erected to block the way for innumerable tribes... with these Gates the country is divided into parts“¹. The above mentioned excerpt unequivocally indicates that for the Roman author the division of a country (world) into two parts has not only a geographical but also a cultural-mental basis. Pliny the Elder mentions in the same work (VI, 40) that the „Caspian Gates“ is mistakenly identified with the „Iberian Gates“, which, as we have said, is called the „Caucasus Gates“². Thus, it is quite clear that the Pliny’s „Caucasian Gates“ corresponds to the „Gates of Iberia“, or today’s Darial, which is the credible evidence that the mentioned large strategic Gates was considered unhesitatingly to be the constituent part of the kingdom of Kartli, Iberia- due to ancient sources. Strabo also points out the main pass of the Caucasus and nomads living in the north (1st century BC-1st, and after that a footpath in the narrow gorge of the river Aragos which takes about four days for a lonely man to pass. The end of this road is fortified with a hard-to-remove wall“³.

Interestingly, in different historical epochs the name of the „Caspian Gates“ was associated with various passes. This term (as well as the notion of the Iron Gates) originally referred to the mountain pass in the Cedar ravine (Firuz-Kukh) in western Iran, where the troops of Alexander the Great passed; In the first centuries AD it corresponds to the „Caucasus Gates“, and later this toponym was attributed to the Daruband Gates (Derbent) which was located on the west shore of the Caspian Sea⁴.

¹ Gaius Pliny the Elder. Natural history The antique Caucasus. v. I, sources, Tb., 2010, p. 502.

